პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50. 6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ. 6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

113 (1108) | სამშაბათი, 25 მაისი 1926 წ. | 113 (1108)

## დაეხმარეთ „წითელ არმიელს". ფართედ გაავრცელეთ ის

პირველ ივნისიდან ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი" გამოვა სამჯერ კვირაში. ამის მიზეზია მატერიალური სივიწროვე. დღემდი ბევრი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები უწევდენ დახმარებას ჩვენს გაზეთს, მაგრამ მომჭირნეობის რეჟიმი, რომელსაც დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა მეურნეობის კეთილდღეობა სრულიად არ ითმენს ხელგაშლილობას და მოითხოვს ყოველგვარი დახმარების შეკვეცას.

აქედან—ჩვენი გაზეთის გამოსვლის შემცირების აუცილებლობა გასაკვირველია. როცა ამ გზას ადგება რედაქცია, მას გათვალისწინებული აქვს ერთვე ეს დახმარებაც, რომელსაც მოელის ნაწილებისაგან, უმთავრესად ხელის მოწერის მხრივ.

თუ ხელის მოწერა შემცირდა, მაშინ სამჯერაც ვერ გამოვა კვირაში. მაგრამ ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პოლიტმომუშავენი, მეთაურები და წითელ არმიელები აქნამდე საქმეს არ მიიყვანებენ.

ბევრჯერ გასჭივრებია ჩვენს გაზეთს წარსულში და ყოველთვის მისი პირველი ხელისშემწყობი იყო ჩვენი წითელი ჯარი.

ახლაც ჯერი ნაწილებზეა.

რაში უნდა გამოიხატებოდეს მათი დახმარება?

სხვადასხვა ფასიან სალამოებისა და წარმოდგენების მოწყობაში „წითელ არმიელის" სასარგებლოთ და რაც მთავარია ხელის მოწერის გადიდებაში. ჯავი და თავი საქმეა ხელის მოწერის ფართედ წარმოება. ამ მხრივ ყოველმა წითელ მებრძოლმა ხელი უნდა შეუწყოს თავის გაზეთს—გამოიწეროს ის და სხვებსაც გამოაწერიოს. და არა თუ მარტო წითელ ჯარში, არამედ ჩვენი ტერ-რაიონების ყველა კუთხეებში ფართედ გავრცელება უნდა ჰპოვოს „წითელ არმიელმა".

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი გაზეთი ერთად ერთი სამხედრო ორგანოა ქართულ ენაზე და გასამხედროების დარგში ის თვალსაჩინო როლს თამაშობს.

რაც შეიძლება ფართედ „წითელ არმიელის" გავრცელება, როგორც ჩვენი ჯარის ფარგლებში, ისე მოსახლეობაში—აი ჩვენი წითელი ჯარის მორიგი დამკვრელი ლოზუნგი. რაც უფრო მეტი იქნება ხელის მოწერა, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურად გაზეთი, მით უფრო გაუმჯობესდება ის ხარისხულადაც.

ჩვენი გაზეთი მობილიზაციას უკეთებს ყველა თავის მკითხველებს და ავალებს მათ: ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მას მატერიალურად— გამოიწერონ და ფართედ გაავრცელონ მშრომელთა შორის.

პირველი მაგალითი ამ მხრივ სხვებს უნდა მისცენ სამხ. კორებმა, მათ ერთ წუთს არ უნდა შეანელონ ეს კამპანია, სანამ არ მიაღწევენ იმ მდგომარეობას, რომ „წითელ არმიელის" ფურცლები რამოდენიმე ათასობით მიდიოდეს ჩვენს ჯარში, ქარხანაში და სოფელში.

გამოიწერეთ „წითელ არმიელი"!

ფართედ გაავრცელედ ის!

უზრუნველყავით მატერიალურად!

## ინგლისმა საფრანგეთზე მიყიდული ნახშირი უკანვე გამოისყიდა

### მთავრობას განზრახული აქვს მაისის ბოლოდან შეუწყვიტოს დახმარება ქვანახშირის სამრეწველოს

### ბალდუინი ელოდება მუშების მოდრეკას

### პოზნანი იარაღს აჟღარუნებს პილსუდსკის წინაამდეგ

### პოლონელი მემარჯვენეები არ სთვლიან თავს დამარცხებულად

### პილსუდსკი თანახმაა პრეზიდენტობაზე

## ბალდუინს აწუხებს როგორც მეპატრონეების ჯიუტობა, ისე მუშათა სიმტკიცე

ბალდუინი სწუხს მეპატრონეთა ჯიუტობის გამო, მაგრამ იმავ დროს მას მუშების სიმტკიცეც აწუხებს. მაღაროს პატრონების სახელზე დაგზავნილ წერილში ბალდუინი სწუხს მაღაროს პატრონების ჯიუტობის გამო სამუშაო ხელფასის მინიმუმის (უმცირესი ნორმა) დაწესების საკითხში.

ბალდუინი აღნიშნავს, რომ მაღაროს პატრონები, როგორც სჩანს, ვერ აფასებენ სათანადოდ მთავრობის წინადადებას და შექმნილ მდგომარეობის სირთულეს.

### მთავრობას განზრახული აქვს 31 მაისიდან შეუწყვიტოს მრეწველობას სუბსიდია

სამთა მადნო მუშათა გაერთიანების აღმასკომისადმი წერილში ბალდუინი აცხადებს, რომ სანამ მუშები არ უწევენ ანგარიშს სამუშაო ხელფასის დაწევისა და სამუშაო დღის გადიდების შესაძლებლობას, ის უნაყოფოთ სთვლის შემდეგ თათბირს.

ბალდუინი აღნიშნავს, რომ ის დაუყონებლივ მიიწვევს თავისთან მუშებს, როცა გაიგებს, რომ ისინი მზად არიან მიიღონ მთავრობის წინადადება.

დასასრულ ბალდუინი აცხადებს, რომ იმ სიმძიმის გამო, რომელიც თავს დააწვა სახელმწიფოს გაფიცვებით, მთავრობას 31 მაისს შემდეგ არ ექნება საშუალება სუბსიდია (დახმარება) აძლიოს ნახშირის მრეწველობას.

## ინგლისი იძენს ქვანახშირს საზღვარგარედ

შეერთებულ შტატებიდან ინგლისს შემოაქვს 19.000 ტონა (ტონა 61 ფუთი) ნახშირი, ბელგიიდან—2.500 ტონა. გარდა ამისა ინგლისმა დაიბრუნა უკან საფრანგეთში გაგზავნილი ნახშირი.

## მდგომარეობა პოლონეთში

### პილსუდსკი თანახმაა პრეზიდენტობაზე

პილსუდსკი თანახმაა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის თანამდებობაზე, ამ ცნობამ გააწიწმატა პოზნანის მემარჯვენე წრეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არასგზით არ დასთანხმდებიან პილსუდსკის პრეზიდენტობაზე.

მემარცხენე პარტიები სცდილობდენ მოემზადებიათ ნიადაგი ბელორუსებს, უკრაინელებსა და ებრაელთა შორის, რათა უკანასკნელთ ხმა მიეცათ პილსუდსკის კანდიდატურაზე.

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხს უშუალოდ განიხილავენ ეროვნულ კრების მოწვევის წინ.

## პოზნანი პილსუდსკის წინაამდეგ

პოზნანის გაზეთები განაგრძობენ პილსუდსკის საწინააღმდეგო კამპანიას.

„კურიერ პოზნანსკი" სწერს:

„ხალხი არ დაუთმობს სისხლის მღვრელ მეამბოხეს ძალადობას და აშკარა ბრძოლაში დაამარცხებს მასა და მის ზურგზე მოფარებულ კომუნიზმს".

კლერიკალური (ეკლესიის მომხრეთა) გაზეთი სწერს:

„მოსახლეობის ფართე ფენებში აღშფოთებული არიან, რომ მთავრობაში ზის სახელმწიფოს მოღალატე. ისინი მოუთმენლად ელიან ბრძანებას გამოსვლის შესახებ, რათა პოლონეთის სხეულს მოჰკვეთონ ბალღამიანი მუწუკი—ამბოხების, შეთქმულებისა და სამოქალაქო ომის ჩანასახი".

პოზნანის ოფიცერთა კავშირმა გამოიტანა დადგენილება, რომ ერთად-ერთი გზა პოლონეთში კანონიერების აღდგენისა—ეს არის აჯანყების ჩახშობა. მოითხოვენ მთავარ სარდლის დანიშვნას ამბოხების ჩასახშობად.

## მემარჯვენეები არ გრძნობენ თავს დამარცხებულად

უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში ერთმა გამოჩენილმა პიასტას (მეძლებულ გლეხთა პარტია) წევრმა განაცხადა:

„მემარჯვენეები არ სთვლიან თავს დამარცხებულად. მდგომარეობა ირკვევა. ამჟამად ყველა პარტიები მომხრე არიან სეიმის გაშვების და მოითხოვენ კონსტიტუციის შეცვლას. გრძელდება მოლაპარაკება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. პილსუდსკიმ უნდა დაუთმოს მემარჯვენეებს, თუ რომ მართლაც სურს მას მშვიდობიანობის დამყარება პოლონეთში."

## პადერევსკი მემარჯვენეთა კანდიდატია

მემარჯვენეებმა პრეზიდენტობაზე კანდიდატად წამოაყენეს სენატის თავმჯდომარე ეროვნულ დემოკრატი—ტრომპჩინსკი, მაგრამ მან უარი განაცხადა.

შემდეგ კანდიდატად ასახელებენ პადერევსკის, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა პოლონეთში.

ეროვნული კრება მოწვეულია ვარშავაში 31 მაისისათვის.

## პილსუდსკი და პოლონეთის ფაშიზმი.

პილსუდსკის მიმდევრები დიდ იმედებს ამყარებდენ მასზე. მათ ეგონათ, რომ „ყოვლის შემძლე" მარშალი დაამხობს ფაშისტურ დიქტატურას, იხსნის პოლონეთს სამეურნეო კრიზისაგან და დაამყარებს დემოკრატიულ მშვიდობიანობასო. მაგრამ იმედები ადრევე ჩაეშალათ. პილსუდსკი მოექცა პოლონეთის სახელმწიფოს სათავეში, მაგრამ სანახევროდ. მისი მარჯვების ბედი კიდევ არ არის გადაჭრილი.

ფაშისტური კონტრრევოლუცია საფუძვლიანად ჩაჯდა პოლონეთში და იქიდან ემზადება წინაამდეგ გასალაშქრებლად.

პილსუდსკი კი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადება და გაურბის პირდაპირ ბრძოლას კონტრრევოლიუციასთან. პილსუდსკის ისევე, როგორც პოლონეთის ბურჟუაზიას ეჯავრება მასების მოძრაობა, რევოლიუცია.

„ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ"—ეს იყო მხოლოდ მისი დროებითი ლოზუნგი, რომ ხელთ ეგდო ძალაუფლება. ნამდვილათ კი პილსუდსკის სრულიად არ სურს კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის შეკვეცა და ამიტომაც არის, რომ მან შესწყვიტა იარაღის ჟღარუნი და მოლაპარაკების გზით აპირებს მორიგდეს ფაშისტურ კონტრრევოლიუციასთან.

ამ უკანასკნელმაც იგრძნო პილსუდსკის სისუსტე და მეტის სიმტკიცით გამოდის უბადლო მარშალის წინააღმდეგ.

რით გათავდება მთელი ეს ისტორია?

ცხადია ბურჟუაზიის და მემამულეების გამარჯვებით. დარჩება თუ არა პილსუდსკი სათავეში, სულ ერთია გამარჯვებული მაინც მყვლეფელთა კლასი იქნება.

პილსუდსკის გადატრიალება, რომ წმინდა წყლის ავანტიურა იყო მშრომელთა მასების მოსატყუებლად—ეს აშკარა და უდავო ფაქტია დღეს.

ეს ავანტიურა კიდევ ერთი ზედმეტი გაკვეთილია მშრომელთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც შველას მოელოდენ პილსუდსკისა და მის მიმდევარ სოციალ-გამყიდველებისაგან.

პილსუდსკი კი არა, დარაზმული რიგებით შეურიგებელი რევოლიუციონური ბრძოლა კომპარტიის მეთაურობით ფაშისტურ ბურჟუაზიის და ყველა სოციალ-ავანტიურისტების წინააღმდეგ—აი რა იხსნის პოლონეთის მუშებს და გლეხებს მჩაგვრელთა კლასის ბატონობისაგან.

—ე.

## საბჭოთა კავშირში

### საზღვაო წყევამდე მომზადება

ბალტიის ფლოტში მოწყობილ იქნა საზღვაო წვევამდე მომზადების წერტი. წვევამდელები ვადიან საზღვაო საქმის საფუძვლებს, ეცნობიან გემის ცხოვრებასა და სწავლობენ ცურვას.

# ვინ იქნება შემდეგი

მე-6-ხე ლეგიონის, მე-5-თე ასეულის წითელი არმიელები ვიწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ 5 ცალს ორი თვით და „კომუნისტს“ თითო ცალს ორი თვით ამავე ასეულის ლენკუთხისათვის, და ვიწვევთ შემდეგ ასეულებს: მე-6-ხე ლეგიონიდან მე-4-ხე,—6-ხე, მე-7-დე და მე-2-რე ტყვიამფრქვევ ასეულებს.

მე-5-თე ლეგიონიდან: მე-3-მე და მე-5-თე ასეულებს.

მე-4 ხე ლეგიონიდან მე-5-თე ასეულს.

აღნიშნულ ასეულებს მოუწოდებთ გამოიწერონ გაზეთ „წითელი არმიელი“ და გაავრცელონ ის.

მე-6-ხე ლეგიონის, მე 5-თე ასეულის წითელ არმიელების დავალებით სამხკორი. მეფარიშვილი.

# ბაქოს ბაზრობაზე

სპარსეთიდან აზერბეიჯანში ჩამოვიდა 5 გემი, რომელმაც ჩამოიტანა 2.000 ტონა სხვადასხვა ტვირთი.

ბაზრობის მთელ პერიოდში გაყიდულია სპარსეთში გასატანად 1.351.257 მანეთის ნაწარმოები.

# საქართველოში.

## ქუთაის--წყალტუბოს გზა

15 ივნისისთვის დამთავრდება გზის გაყვანა ქუთაისსა და წყალტუბოს შორის. ამ დროისთვის გაიხსნება სააგარაკო სეზონიც.

## პასტეროვის მეორე სადგური

ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება პასტეროვის მეორე სადგური, რათა შემსუბუქებულ იქნას ბრძოლა ცოფიან ცხოველთა ნაკბენის წინააღმდეგ.

ორ თვეში ასეთივე სადგურები გაიხსნება კახეთსა და ბათომში.

## კურსების გახსნა

25 მაისს მანგლისში გაიხსნება სკპ (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ მოწყობილი, მაზრის მუშაკთა ვადასამზადებელი კურსები.

## მერძევეთა ამხანაგობა

სოფელ ბავრაში მოეწყო მერძევეთა ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს 13 მეურნეობას.

ახალქალაქის მაზრის მთელრიგ სოფლებში გლეხობა დაინტერესებულია ამხანაგობებით. მერძევეთა ამხანაგობის კავშირი უხსნის გლეხობას ამხანაგობის მნიშვნელობას.

## მომჭირნეობა

ლიუქსემბურგის მომხმარებელი საზოგადოება თათბირის შემდეგ შეუდგა მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებას. პირველ რიგში გამგეობის წევრებმა ნებაყოფლობით დაიკლეს ჯამაგირები. ჩატარებულ იქნა აგრეთვე შტატის შემცირება, რისგანაც გამოდის 500 მანეთის ეკონომია.

## თოვლი საძოვარ რაიონებში

ახალქალაქის საძოვარ რაიონებში ოთხი დღეა თოვლი მოდის. იყო შემთხვევები ადამიანისა და ნახირის დაღუპვის. მეცხვარეები იძულებული შეიქნენ დაბრუნებულიყვნენ დროებით ბორჩალოს მაზრაში.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი პარტსაქმიანობიდან

მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონი

ჩვენს ლეგიონში პარტორგანიზაციამ აღრიცხვაზე აიყვანა პარტიული ახალწვეულნი. ლეგიონის კლუბში 21 მაის საღამოს 5 საათზე შესდგა 1 ათასეულის კომუჯრედის ღია კრება.

კრებას დაესწრენ აგრეთვე ამხ. ამხ. მარკაროვი და ბლუაშვილი. კრების დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის დასმული იყო: კომუჯრედის ამოცანები ახალწვეულთა შეკრების პერიოდში. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ზამთარაძემ, რომელმაც აღნიშნა კომუჯრედის როლი წითელ არმიელთა აღზრდის საქმეში. მომხსენებელი შეეხო კომუჯრედის ამოცანებს და სთქვა, რომ კომუჯრედმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს წითელ არმიელთა მასის შესწავლას, მათ შემოკრებას პარტიის გარშემო, მათ გათვითცნობიერებას და სხვა. აგრეთვე მომხსენებელი შეეხო უჯრედის სტრუქტურას ჯარში და მათ უფლებებს. შემდეგ სიტყვით გამოდის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. მარკაროვი, რომელიც ამბობს, რომ თითეული პარტიის წევრი ყოველ დღიურათ უნდა ისახავდეს ამა თუ იმ ამოცანას, თუ მან პარტიისითვის რა გააკეთოს დღეს. თითეული პარტიის წევრი, კანდიდატი და კომკავშირელი დაინტერესებული უნდა იყოს ნაწილის აღმშენებლობით. ის მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს წითელ არმიელთა ინტერესების, განწყობილებების და მოთხოვნილებათა შესწავლას.

ნაწილის პარტორგანიზაციამ უნდა შესძლოს, რომ თითეულ წითელ არმიელს ნათლად ქონდეს წარმოდგენილი ის, რომ წითელი არმია შეგნებულათ იცავს მშრომელთა ინტერესებს. მას უნდა ქონდეს გარკვეული ვის ინტერესებს იცავს ის და ვისთვის იბრძვის. პარტორგანიზაციის საშუალებით ჩვენ უნდა შევსძლოთ დარაზმვა მშრომელთა მოწინავე ახალგაზრდობის, მუშებისა და გლეხების ინტერესების დასაცავათ. ამხ. მარკაროვმა თავისი სიტყვა გადათარგმნა რუსულათ. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რასაც მომხსენებლის მიერ გაეცა სათანადო პასუხი. მიღებულ იქნა რეზოლიუცია სადაც მრავალი პრაქტიკული მითითებანი მიეცა კომუჯრედს თავის მომავალ მუშაობის პერიოდში.

იმედია კომუჯრედი თავისი მთელი შემადგენლობის გაასკეცებული ენერგიით, მუშაობით შესძლებს იმ ამოცანების გატარებას, რომელიც მან დაისახა ამ მე-2 ნახევრიან პერიოდში.

სამხკორი ე—ლი.

# სულდის კომუნა

სულდის, მიასნიკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა დაარსებულ იქნა 1924 წელს (ახალქალაქის მაზრაში). ამხანაგობა აერთიანებს 15 ოჯახს, რომლებშიც ითვლება 70 სული.

ამხანაგობას აქვს 300 დესეტინა მიწა. მიწის დამუშავება სწარმოებს გაუმჯობესებულ იარაღებით.

ამხანაგობა იწყებს 15 შენობის აგებას საერთო აბანოთი, პურის საცხობით, კლუბითა და სხვა.

# სამხრეთ-ოსეთი

## ტელეფონის ქსელის მოწყობა

დაწყებულია მუშაობა სამხრეთ-ოსეთში ტელეფონის ქსელის მოსაწყობად.

გორიდან მიტანილ იქნა ადგილზე ტეხნიკურ მასალების პირველი პარტია.

# ბანაკი-საბრძოლო მომზადების საუკეთესო სკოლა

**საბანაკო ცხოვრების ყოველი წუთი ძვირფასია,—ეცადე არ გააცდინო ის.**

საბანაკო ცხოვრებას დიდი უპირატესობა აქვს საბრძოლო მომზადების მხრივ. ზამთრის სადგომებზე ყველგან არ არის საკმაო სასროლო მოედნები, სადაც უნდა ჩატარდეს სროლა, განსაკუთრებით, საბრძოლო. არ არის ყოველთვის მახლობლად ვრცელი მინდვრები ტაქტიკურ მეცადინეობის ჩასატარებლად. ბოლოს, მთელს გარნიზონებში გაბნეული ჯარები მოკლებული არიან საშუალებას ჩაატარონ მეცადინეობა სხვა გვარი იარაღის ჯარებთან ერთად.

ომში კი ჯარებს მოუხდება მოქმედება სხვა და სხვა გვარ იარაღის ნაწილებთან ერთად. მაშასადამე ასეთი მოქმედებისთვის საჭიროა ვემზადოთ ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროიდან.

ყოველივე ამას იძლევა ბანაკი. ბანაკში იმყოფება ფართე მინდვრები ტაქტიკური მეცადინეობის საწარმოებლად, დიდი სასროლი მინდვრები, ერთსა და იმავე ბანაკში მოთავსებულია სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარები.

საბანაკო შეკრება იყოფა სამს ძირითად პერიოდად: პირველი პერიოდი არის კერძო შეკრება; მეორე პერიოდი—საერთო შეკრება; მესამე პერიოდი—მოძრავი შეკრება და მანევრები.

**კერძო და საერთო შეკრება**

კერძო შეკრების პერიოდში ყველა გვარი იარაღის ჯარებში დასრულებულ უნდა იქნას ცალკეული სროლა შაშხანისა და ტყვიამფრქვევით.

გარდა ამისა თვითეულ მსროლელმა უნდა ისწავლოს მოქმედება: ქვეითა ნაწილში—ათეული, ოცეულის და ასეულის შემა[...] გენლობით; ცხენოსანში—რ[...] ოლის, ოცეულის, ესკადრო[...] ნისა და ლეგიონის შემადგე[...] ლობით; არტილერიაში—ბატა[...] რეის, დივიზიონისა და სპეცი[...] ალისტების გუნდის შემადგე[...] ლობით. გარდა ამისა არტი[...] ლერიაში ამ პერიოდში ჩატა[...] რებულ უნდა იქნას საარტი[...] ლერიო სროლა; საინჟინერ[...] ნაწილებში—ათეულის, ოცეუ[...] ლისა და ასეულის შემადგე[...] ლობით; საკავშირო ნაწილებ[...] ამ პერიოდში დამთავრებუ[...] უნდა იქნას უმცროსი სპეცი[...] ლისტის საველე მომზადება ძ[...] რითად სპეციალობაში.

კერძო შეკრების პერიოდ[...] მსროლელ და ცხენოსან ნაწ[...] ლების ტყვიამფრქვევები იკრ[...] ბებიან თავის სპეციალურ ს[...] ტყვიამფრქვევ შეკრების ჩ[...] საჩატარებლად.

საერთო შეკრების პერიოდ[...] ში ჯარები ჩაატარებენ შეე[...] თებულ მეცადინეობას სხვა დ[...] სხვა გვარი იარაღების შემად[...] გენლობით. აქ ჯარებმა უნდ[...] მიიღონ შეერთებულად მოქმე[...] დების გამოცდილება, რათ[...] თვითეული გვარი იარაღის ჯა[...] რებს შეეძლოს გასწიოს მეორ[...] გვარი იარაღის ჯარის მაგი[...] რობა.

**მოძრავი შეკრება და მა[...] ნევრები**

მოძრავ შეკრებისა და მან[...] ვრების პერიოდში ჯარის ნაწ[...] ლების მოქმედება უფრო სა[...] რძოლო ცხოვრების მსგავს[...] იქნება.

ეს პერიოდი წარმოადგენ[...] არა მარტო სწავლების პერ[...] ოდს, არამედ ამ დროს გად[...] სინჯულ უნდა იქნას ყველაფე[...] რი ის, რაც გავლილია საბან[...] კო პერიოდში.

ნ—ი.

# დღიური ხაზზე—ბანაკის თვალი და ყურია.

ბანაკში მეომრებს მოუწევთ დღიურობა ხაზზე. ეს სამსახური საპასუხისმგებლოა და მოითხოვს დიდ ყურადღებას.

შინა სამსახურის წესდება ავალებს დღიურს მიიღოს განკარგულება, რომელიც გადმოცემული იქნება ხაზზე, არ მიუშვას გარეშე პირები ნაწილის მოთავსების ადგილზე, თვალყური ადევნოს სახელმწიფო და წითეარმიელთა ქონებას და სხვა.

პირველყოვლისა დღიური განუწყვეტლივ უნდა იმყოფებოდეს ხაზზე შეცვლამდი და არ გადაუხვიოს თავის პირდაპირ ვალდებულებას. ხაზზე გადასაცემად მიღებული განკარგულება სწორად და ხმამაღლა უნდა გადასცეს მეზობელ დღიურს. უნდა ახსოვდეს, რომ დაბნეულად და ბუნდოვანად გადაცემული განკარგულება ზიანს მოუტანს საქმეს.

განსაკუთრებით დღიურმა ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწილის მოთავსების ადგილზე ახლოს მომსვლელ პირებს. ასეთი, გარეშე პირები უნდა გააჩეროს ბანაკის მოთავსების გარედ და გამოუძახოს მორიგეს. მაგრამ ამისთვის მან ა[...] უნდა დასტოვოს ხაზი მორი[...] გის მოსაძებნად.

**ბანაკში გარეშე პირებ[...] ადვილად შეუძლია შესვ[...] ლა, ვინემ ყაზარმაში.**

ეს უნდა ახსოვდეს ხაზზ[...] მდგომ დღიურს.

განსაკუთრებული სიფხიზლ[...] მართებს დღიურს ღამით, რათ[...] არავინ მოიპაროს იარაღი დ[...] სხვა ქონება.

მოვაჭრის სახით ჯაშუშს ად[...] ვილად შეუძლია შევიდეს ბა[...] ნაკში. ამიტომ ასეთ პირებ[...] დღიური უნდა აჩერებდეს ხმი[...] და არ უშვებდეს ბანაკის მ[...] ხლობლად.

თავის მოვალეობას კარგა[...] გაცნობილი რიგიანად მომსა[...] ხურე დღიური საიმედო დ[...] ფხიზელი თვალია, რომელი[...] იცავს თავისი ნაწილის წე[...] რიგსა და ქონებას. თვითეუ[...] მეომარს კარგად უნდა ახსო[...] დეს ყოველივე ზემო თქმულ[...] ვინაიდან მორიგეობა ხაზზ[...] რომელიც ესოდენ საპასუხი[...] მგებლო სამსახურია, ყველ[...] მათგანს შეხვდება.

ლ. ტ.

# ქიმიური მოგერიება ბანაკში.

საბანაკო პერიოდში მეომრებს მოუხდებათ პრაქტიკაზე ყოველივე იმის გავლა, რაც მათ ზამთრის პერიოდში უსწავლიათ თეორიულად.

ბანაკობის პერიოდში საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს სამხედრო ქიმიურ საქმეს. საბანაკოთ შეკრების დრო გამოყენებულ უნდა იქნას ქიმიური მოგერიების პრაქტიკულად გასაცნობათ, სამხედრო ქიმიური ცოდნის გასაღრმავებლად.

ზემონაჩვენების შესასრულებლად საჭიროა ბანაკის ფართო ქიმიზაცია. ამისათვის ბანაკი უნდა გამოცხადდეს ბრძანებაში როგორც აირსახიფათო. ამის შემდეგ ბანაკის ქიმიური სამსახურის უფროსმა მეთაურების მთელი შემადგენლობის დასწრებით უნდა მოახდინოს ქიმიური და ანემომეტრიული ძიება, როგორც ნაწილის მიერ დაკავებულ უბნისა, აგრეთვე ზურგისაც. ქიმიური და ანემომეტრიული ძიების მიზანია გამოარკვიოს თუ რამდენათ აირსახიფათოა ეს უბანი. (ქარის მიმართულება, ადგილის სახეობა და სხვა). ძიების თანახმად ქიმსამსახურის უფროსმა უნდა შეადგინოს ამ უბნის გეგმა და წარუდგინოს ნაწილის შტაბს დასამტკიცებლად. შემდეგ ამისა კი უნდა შეუდგენ საჭირო ზომების მიღებას ბანაკის ქიმმოგერიებისათვის, რაც დაახლოვებით გამოიხატება შემდეგში:

1) ბანაკის წინა ხაზზე ეწყობა მეტეოროლოგიური წერტები არკადიევის ფლიუგერით, ქარსაზომით და ქვეყნის მხარეების მაჩვენებლებით.

2) კედაროთი და სიღრმით უნდა მოეწყოს ჩირაღდნები ნავთში გაჟღენთილი ჭილობებით და სვეტებით. უკანასკნელებზე ჩამოიკიდება ზარები და და ან სხვა რამე, ერთი სიტყვით, რაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას შთანგობისათვის აირგანგაშის დროს;

3) ყველა ასეულებზე უნდა დამზადდეს რამდენიმე ცალი ჭილობიდან და ნავთიდან გამზადებული საწვავი პაკეტები და მასთან თითო სანიავებელი მოწამლული ადგილების აირებიდან გასაწმენდათ.

თუ იქნება გიდროპულტები, ასეთები უნდა განაწილდეს ქიმსამსახურის უფროსის მიერ. ყველა აქ ჩამოთვლილი ქონება უნდა ინახებოდეს ასეულებში და გაიცეს საჭიროების დროს მორიგეების მიერ (ასეულების).

4) ბანაკის შუა ადგილას უნდა მოეწყოს საკანტროლო მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც შეუერთდება ტელეფონით ბანაკის მორიგის კარავს მეტეოროლოგიური თვალთვალის გადასაცემათ.

5) საჭიროა იქნას ერთი ან ორი გროვა კირი ან სილა მედგარ აირებით (იპრიტით) მოწამლულ ადგილების პირობითი გასაწმენდათ.

6) ბანაკში უნდა იყოს, ერთი მაინც, კარავი—აირთავშესაფარი სანიტრებისათვის.

7) უნდა აღნიშნულ იქნას გზები ხალხის და ცხენების გასაყვანათ იპრიტით თავდასხმის შემთხვევაში.

8) აირმსპობი უნდა გაიცეს ხელზედ და ინახებოდეს თოფებთან ერთად.

(დასასრული იქნება)

დ. ჭავჭანიძე.

# ტერშეკრების პირველი დღეები

## ყველა, როგორც ერთი გამოცხადდა

თელავის მაზრიდან ახალწვეული ცვალებადელები ერთსულოვნად გამოცხადდენ მე-6 ლეგ. 3 ათასეულში. ყველა სოფლებიდან სიმღერით მოემართებოდენ ნაწილის ყაზარმებისაკენ. 13 მაისს უკვე ყველამ მოიყარეს თავი. მოხდა ამოკითხვა, დანაწილებული იქნენ ჯგუფებათ და სათანადო ახსნა-განმარტებების შემდეგ გამოუდექით გზას ლეგიონის სხვა ნაწილებთან შესაერთებლად. გზა და გზა მატარებელში კიდევ უფრო იზრდებოდა მათი მხიარულება. ჩვენც ვესაუბრებოდით წითელი ჯარის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ. უხსნიდით თუ რამდენად დიდი სარგებლობა მოაქვს ტერიტორიალურ სისტემას ჩვენი მეურნეობისათვის და მრავალი სხვა.

საერთო განწყობილება კარგი იყო ახალწვეულებში. თვილისზე მოახლოებით კიდევ უფრო იზრდებოდა მათში სიხალისე და უმატებდენ მხიარულებას.

ლეგიონში დიდი ამბით შეგვხდენ. ნაწილის მესვეურებმა მოგვმართეს სათანადო სიტყვებით და მოუწოდეს ახალწვეულებს ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მუშაობას.

უკვე დაიწყეს მათი დაყოფა ჯგუფებათ. დაუარსეს ლენკუთხეები და უმართავენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე. გამოყოფილი იქნენ წერა-კითხვის უცოდინარები და შეუდგენ მეცადინეობას.

ლეგიონი ამუშავდა. ყველგან—ყველა ასეულებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. სულ მალე შესაფერი ცოდნით აღიჭურვებიან ჩვენი ცვალებადელები.

მახარაძე.

## როგორ ვასწავლით ცვალებადელებს.

მე-4 ლეგ. 9 ასეული.

ლეგიონში მისვლისთანავე ასეულში დაიწყო მეცადინეობა ცვალებადელთა შორის.

მთელი შემადგენლობა დაყოფილი იქნა რამოდენიმე ჯგუფებად, სომხურ, ქართულ და თათრულ ჯგუფებათ. დაენიშნათ სათანადო მცოდნე ხელმძღვანელები და დაიწყო სამხედრო მეცადინეობა. მეცადინეობა დიდი ინტერესით და ყურადღებით მიმდინარეობს. ამასთანავე ერთად პოლიტხელები სისტემატიურად ატარებენ საუბრებს პოლიტიკურ თემებზე და უხსნიან ახალწვეულებს საბჭოთა ხელისუფლების მიზნებს და მის ამოცანებს.

ცვალებადელებს უკვე გადაეცათ თუ რას ემსახურება წითელი ჯარი და რა დიდი მოვალეობა აწევს თავს თითეულ წითელ არმიელს და განსაკუთრებით კი თითეულ ცვალებადელს, რომელმაც მთელი ენერგია უნდა მოიკრიბოს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში შეითვისონ სამხედრო საქმე, გათვითცნობიერდენ და როგორც სოფელს, ისე საბჭოთა ხელისუფლებას კარგად გამოადგენ საჭიროების დროს.

კულტურული მუშაობითაც ძლიერ არიან დაინტერესებული ამხანაგები და აქაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

ა. იმერლიშვილი.

## კინო სურათი ცვალებადელებს

მე-2 არტლეგიონი.

მე-2 არტლეგიონის წითელ არმიელებისათვის მოწყობილი იქნა კინო სურათების ჩვენება, რამაც მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახლად მოსულებზე. განსაკუთრებით საზღვარი არ ქონდა ქართლელ ცვალებადელების სიხარულს, როდესაც დაინახეს ეკრანზე ყველგან ცნობილი „არსენა ყაჩაღი“.

მოქმედების შინაარსს წინასწარ უხსნიდით წითელ არმიელებს. წარწერებს ხმამაღლა ვკითხულობდით წერა კითხვის უცოდინართა გასაგონათ. სურათი რიგ-რიგობით ნახა ლეგიონის მთელმა შემადგენლობამ.

კარგი იქნება თუ კლუბის უფროსი ისე მოაწყობს საქმეს, რომ მოახერხებს ყველა ქართული კინო სურათების ჩვენას ნაწილისათვის.

პ. კახიძე.

## პოლიტმეცადინეობა მოისუსტებს.

მე 5 ლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ ასეულსა და საკომენდანტო ოცეულს ერთად გვიკითხავენ პოლიტსაათს. სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში მაინც ძლიერ მოისუსტებს საუბრები პოლიტსაათებში. ხშირია შემთხვევა, რომ ვერ აკმაყოფილებენ წითელ არმიელებს. სხვა და სხვა ქალაქების განხილვის დროს, არ გვიჩვენებენ რუქებზე მათ ადგილმდებარეობას და არ გვეძლევა მათ შესახებ თვალსაჩინო წარმოდგენა. ასევეა სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს. კარგი იქნება სათანადო ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას ამხანაგები და მოაგვარებდენ საქმეს.

გ—სი.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვას

მე-4 ლეგ. მე-3 ათასეული.

ლეგიონის ათასეულში კარგად არის დაყენებული მუშაობის საქმე. ცვალებადელების შესახვედრად ადრევე დაიწყო მზადება და შესაფერადაც მოვაწესრიგეთ საქმეები. ყველაფერი თავის რიგზე იყო, როდესაც ეწვიენ ჩვენს ნაწილს ამხანაგები. ძველი წითელ არმიელები და მეთაურები ჩაერიენ ახლად მოსულებში და უხსნიდენ—აცნობდენ ჩვენი წითელი ყაზარმის ცხოვრების პირობებს და თავისებურებებს. ისინი კმაყოფილი რჩებოდენ ყველაფრით. გულმოდგინეთ დაუწყეს თვალიერება კედლის გაზეთს და კითხულობდენ მათი მოსვლის აღსანიშნავ წერილებს.

დაინტერესებული არიან ძლიერ სამხედრო საქმითა და შემდეგ ნაწილის სხვა და სხვა წრეების მუშაობით. ყველაფერზე ეძლევათ საჭირო ახსნა განმარტება. ამ დღეებში დაიწყება მათთან სისტემატიური ხასიათის მუშაობა.

დ. ოქროპირიძე.

## კარგი ცოდნა გამოიჩინეს.

მე-2 მესანგრე ასეული.

13 მაისს ასეულში დაიწყეს წითელ არმიელების გამოცდა სამხედრო საქმეში. გამოცდას ყველა მეთაურები დაესწრენ და იძლეოდენ სხვა და სხვა შეკითხვებს.

ზამთრის განმავლობაში გავლილი პროგრამა ზედმიწევნით კარგად ჰქონდათ ამხანაგებს შეთვისებული. ყველა მიცემულ კითხვებზე ალაგებით და თამამად უპასუხებდენ. არც ერთი არ ჩაჭრილა საჭიროდ. ეს იმ დროს, როდესაც საზოგადოთ ძნელი და მეტად რთულია საინჟინერო ნაწილის სამხედრო საქმის პროგრამა.

თეორიულად დამაკმაყოფილებელი იყო წითელ არმიელების ცოდნა. პრაქტიკულად შესწავლა იმის რაც თეორიულად გავიარეთ, ჯერ არ დაგვიწყია, მაგრამ მალე შეუდგებით ამასაც.

იმედი გვაქვს, რომ აქაც შესაფერ ენერგიულობასა და ინტერესს გამოიჩენენ ჩვენი წითელ არმიელები.

ა. ბუჩუკური.

## მოაწყვეთ ბიბლიოთეკა და სამკითხველო

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონი იმ თავითვე შეუდგა სამკითხველოს მოწყობას, როგორც კი ჩამოვიდა ბანაკში. მოწყობილი იქნა ცალკე შენობა მეტად მოხერხებულ ადგილზე. ყოველ-თავისუფალ საათებში აქ იყრიან თავს წითელ არმიელები და კითხულობენ სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებს და წიგნებს.

სამკითხველომ მოაწყო ესკადრონებში აგრეთვე ლენინის კარვები, რომლებიც უზრუნველყო საჭირო ლიტერატურით. ჟურნალ-გაზეთებს ვღებულობთ სისტემატიურად. სწარმოებს აგრეთვე ესკადრონების ბიბლიოთეკების მომზადება.

სინათლე.

## ვეწყობით.

1-ლი ცალკე საკ. ასეული.

უკვე რამოდენიმე დღეა რაც ჩვენი ნაწილი ჩამოვიდა საბანაკოდ. მიუხედავად ცუდი ამინდებისა ნაწილმა მრავალის გაკეთება შესძლო. ბანაკი თითქმის მოწყობილია, მაგრამ ჯერ სამუშაო მრავალია; წ. არმიელები დაუზარებლად მუშაობენ და ყოველგვარ დავალებებს პირნათლად ასრულებენ. მიღებულია ზომები რათა საჩქაროდ მოეწყოს ლენინის კარავი.

წითელ არმიელებთან ერთად თავდადებულად მუშაობენ ჩვენი მეთაურებიც. ასეთი ენერგიული და შეთანხმებული მუშაობა აუცილებლად კარგ ნაყოფს მოგვცემს.

სამხკორი ვ—ნო.

# საბანაკო ცხოვრების დასაწყისი

## ბანაკში გასვლის წინ.

1-ლი არტლეგიონი.

მოახლოვდა ბანაკად გასვლა. ჩვენ ლეგიონში გაცხოველდა ყოველგვარი მუშაობა.

ჯამი უკეთდება საზამთრო პერიოდში გავლილ მუშაობას; მზადა გვაქვს საკარვე ტილოები, ხშირად ხდება მთელი ლეგიონის ველად გასვლა და მიღებულ თეორიულ ცოდნის შეფასება თუ რამდენად შეითვისეს ის ახალ წვეულ წ. არმიელებმა.

21 მაისს მთელი ლეგიონი თავისი ქვემეხებით გავიდა ველში საცდელი მეცადინეობის საწარმოებლად.

წ. არმიელები სერიოზულად ეპყრობოდენ მეცადინეობას და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ მასში.

დიდი ხანი არ დარჩენილა ლეგიონის ბანაკად გასვლამდე; სამნეო დარგი გაფაციცებით ამზადებს ყველა საჭირო ნივთებს.

თუმცა წასულ წელსაც კარგად ვიყავით მოწყობილი ბანაკში, მაგრამ მატერიალურათ წელს უფრო მეტათ ვიქნებით უზრუნველყოფილი.

კლუბიც გაცხოველებული ემზადება და უკვე აქედან იმუშავებს გეგმებს მუშაობისათვის.

პარტიულ მუშაობას უკეთდება ჯამი.

როგორც ირკვევა უჯრედების მუშაობა უმეტეს შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია. თითეულ კომუჯრედის კრებებზე დასმული იყო საკითხი თვითმოქმედ ორგანიზაციების ბიუროს მუშაობის შესახებ. აქაც კარგი სახე უჩანს ზამთრის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას.

ახლო მომავალში მოხდება ლეგიონის მასშტაბით პარტ. ამხანაგების საერთო კრება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ბიუროს მდივანი გააკეთებს მოხსენებას თავის ექვსი თვის მუშაობის შესახებ, საიდანაც დაწვრილებით გავეცნობით აღნიშნულ მუშაობას.

რამოდენიმე ხანია, რაც დაწყებულია ახალ წვეულ წ. არმიელების კ. კავშირში მიღება, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. ბევრ ამხანაგებს, რომლებსაც არ ქონდათ პირადი საქმეები მაზრებიდან, ლეგ. ორგანიზატორმა აღრიანად აიყვანა აღრიცხვაზე.

ბანაკში გასვლის წინ ეს ორგანიზაციებიც შესაფერ მუშაობას აწარმოებენ. გათვალისწინებული აქვთ იქ მუშაობის გეგმა და იმისდამიხედვით ემზადებიან.

შალვა ბურკაძე.

## გზად ბანაკისაკენ

17 მაისს ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა არმიის სამხედრო პოლიტიკურ სკოლასთან ერთად გაემგზავრა საბანაკოთ.

მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, 6 საათზე ვიყავით სოფ. №-ის აღმართზე. გლეხები ამხანაგურათ გვესალმებოდნენ და გვეკითხებოდნენ თუ საით მივემგზავრებოდით. შევედით სოფელში. № დიდი სოფელია. უწინ ამ სოფელში გაბატონებული ყოფილან მემამულეები, რომლების ხელში ყოფილა მთელი მამული, მაგრამ დღეს მათი სახლები და ბაღები გადაცემულია ღარიბ გლეხობაზე.

სოფელს ეტყობა გამოცოცხლება. არის კლუბი, ქოხ-სამკითხველო, კოოპერატივი, სკოლები.

ცოტა დასვენების შემდეგ გაუდექით გზას.

საათის 17-ზე უკვე ვიყავით შემდეგ სოფელში, სადაც გავათიეთ ღამე. ეს სოფელი შესდგება 200 კომლისგან. მცხოვრებლებია: რუსები, ქართველები და სომხები. მოსახლეობა დაკმაყოფილებულია მიწის ნორმით. იგი ეწევა სამეურნეო მუშაობას და ტყის დამუშავებას. სოფელს აქვს ქოხ-სამკითხველო, სკოლა, საექიმო პუნქტი.

სოფლად პოლიტიკური და კულტურული მუშაობა მიმდინარეობს კარგათ.

18 მაისს საათის 5 ზე გაუდექით ჩვენ გზას. 10 საათი იქნებოდა, როდესაც გადავხედეთ ჩვენ საბანაკო ადგილს. გზაში დაგვხვდა მე-9 რუსული ლეგიონის მუსიკა, რომელმაც დღღლილობა დაგვავიწყა.

11 საათზე ჩვენი სკოლები უკვე დანიშნულ ადგილას იყო. ჩვენი საბანაკო სადგომი საგარაკო ადგილია, ბუნებით მდიდარი. იგი დაფარულია ფიჭვნარით და გარშემორტყმული მაღალი თვალუწვდენელი მთებით.

წელს ჩვენ სკოლას მოუხდება საზაფხულო მეცადინეობა სომხეთის და აღერბეიჯანის სკოლებთან ერთად. ეს ჩვენ ცხოვრებაში დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ჩვენ გვაქვს საშვალება დაუახლოვდეთ და მტკიცე კავშირი გავაბათ ჩვენ მოსაზღვრე რესპუბლიკების მომავალ პოლიტმუშაკებთან, გავიცნოთ მათი ცხოვრება, გავაცნოთ ჩვენი მეცადინეობა, მიღწევები.

კურსანტები დიდი ხალისით დაიარებიან მათ ბანაკში, აწარმოებენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხების ირგვლივ.

—

20 მაისისათვის უკვე დამთავრებული იყო ბანაკის მოწყობა და შეუდექით მეცადინეობას.

განვაახლეთ აგრეთვე კავშირი ჩვენ საშეფო სოფელთანაც.

ჯ. ქუთელია.

## წითელ არმიელთა შემოქმედების საღამო.

1-ლი არტლეგიონი.

მეორე ბატარეიის ლენინის კუთხეში ამ ორი დღის წინად მოწყობილი იქნა კომბინიური საღამო. საღამოზე გამოვიდენ ბატარეიის სხვა და სხვა ბირთვები თავისი შემოქმედებით.

წინასწარი სიტყვით გამოვიდა კომუჯრედის მდივანი და განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ხასიათის საღამოებს და როგორ ააქტივებს ისინი წითელ არმიელებს.

ამის შემდეგ დაიწყო ბირთვების შემოქმედების გამომზეურება.

პირველად გამოვიდა დრამწრე, რომელმაც გამართა ინსცენიროვკა „ახალი ყაზარმა“. შემდეგ ხმა მაღლა მკითხველთა ბირთვმა წაიკითხეს ახალი გაზეთებიდან საყურადღებო შინაარსის წერილები. სამხკორთა ბირთვმა გამოიტანა ახლად გამოცემული კედლის გაზეთი და წაიკითხეს იქედან საინტერესო ადგილები.

აღინიშნა აგრეთვე პროცენტულად გაზეთებში წითელ არმიელებისა და მეთაურების მონაწილეობის შესახებ.

დასასრულ გამოვიდენ მომღერალთა და დამკვრელთა ბირთვები. მომღერლებმა ყურადღება მიიქციეს მრავალი საყურადღებო სიმღერებით მშვენივრად შესრულებით,

მუსიკალურმა ბირთვა კი სხვა ნომრებთან ერთად დაუკრა ლეკური და სხვა საცეკვავები. იცეკვეს, როგორც წითელ არმიელებმა, ისე მეთაურებმაც. სულ ბოლოს კი გაშვებული იქნა „შუქის ფარანი“, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

საერთოდ ბირთვებმა კარგი მომზადება გამოიჩინეს. კარგი იქნება ხშირად გამართავდენ ასეთ საღამოებს.

ა. არველაძე.

## მალე დავიწყებთ მეცადინეობას

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.

საზაფხულო სეზონის მოახლოების გამო ნაწილის მთელი ყურადღება გადატანილი იქნა იქითკენ, თუ როგორ მოვწყობილიყავით და როგორ უნდა შევხვედროდით საზაფხულო ცხოვრებას.

წინასწარ გამოყოფილი იქნა ნაწილიდან წითელ არმიელების ერთი ჯგუფი.

ნაწილის ბანაკში მისვლისას, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იყო ჩატარებული მუშაობა გამოგზავნილი ამხანაგების მიერ, მაინც დაგვჭირდა კიდევ შრომა და საბოლოოდ დავამთავრეთ ბანაკი. გადავსჭიმეთ კარვები; ყველა სცდილობდა რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოთ თავიანთი საზაფხულო სადგომები. ჯერ-ჯერობით არ დაგვიწყია ჩვეულებრივი მეცადინეობა. არც სხვა რაიმე კულტურული საქმის წარმოება შეიძლებოდა ამ ხნის განმავლობაში ზედმეტად დატვირთვის გამო.

ამ დღეებში განვაახლებთ ნაწილში ყოველგვარ მუშაობას და სრულიად ახალი ენერგიით შეუდგებით მეცადინეობას.

დ. ვაჩეიშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## უნდა დავიცვათ სისუფთავე სასადილოში

მე-6 ლეგ. პირველ ათასეულს, უნცროს მეთაურთა სკოლასა და სხვებს ერთ შენობაში გვიხდება სადილობა. ყველას ერთად შენობა ვერ გვიტევს, რის გამო გვიხდება რიგრიგობით სადილობა.

მაგიდები მეტის-მეტად ჭუჭყიანდება და ბოლოს შესული წითელ არმიელებისათვის შეუძლებელი ხდება სადილობა.

ამას გარდა ზოგიერთი წითელ არმიელები აძლევენ თავის ხვედრ „ბორშჩს“ ქუჩის ბავშებს და ისინი კიდევ უფრო აჭუჭყიანებენ მაგიდებს.

ბავშებს აკრძალული აქვთ ლეგიონში შემოსვლა და საჭიროა წითელ არმიელებმაც მიიღონ ეს მხედველობაში, რომ ოდნავ მაინც შევსძლოთ სისუფთავის დაცვა.

ე—ლი.

### შეაკეთეთ სახურავი.

ცხენოსანი ლეგიონის სამხედრო გუნდის შენობაში ჩამოდის წვიმა. ლენინის კუთხე სრულიად დაგვისველა წყალმა. ამას გარდა ჭერიდან ჩამონადენი წყლის ზეგავლენით ცვივა შეგლესილი ტალახის ნაჭრები და ყველაფერს გვიფუჭებს. მივმართეთ ვისაც ჯერ არს ამის შესახებ, მაგრამ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. კარგია შეაკეთებდენ თავის დროზე სახურავს და გვიხსნიდენ წყლისაგან.

ცეცხლი.

### მოგვაქციეთ ყურადღება

ცხენოსან ლეგიონში გაიხსნა საგეითლო კურსები, რომელზედაც მოვლენილი ვიქენით კურსანტებათ სხვა და სხვა ნაწილებიდან. სამწუხაროდ კარგად ვერ არის დაყენებული ჩვენი მეცადინეობის საქმე. არა გვაქვს განსაკუთრებული ბინა, რომ ნაყოფიერად შევსძლოთ მუშაობის წარმოება. ამჟამად კურსანტები და მჭედლები ერთად ვართ მოთავსებული.

ჩვენ რომ სწავლას დავიწყებთ ისინი მაშინ დაიწყებენ ჩაქუჩების ცემას და ან მაშინ მოუნდებათ ამღერება.

ასეთ პირობებში ვერაფრის გაკეთებას ვერ შევსძლებთ. კარგი იქნება მოგვცემდენ ცალკე ბინას, რომ უფრო ნაყოფიერად შევსძლოთ მუშაობა.

შ. ჭლიკაძე.

### სამზარეულოში ვეღარ შევდივართ შიშით.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ტფილისის გოსპიტალის სამზარეულოში დანიშნეს დიასახლისად ვინმე ბონდარენკოს ქალი, რომელიც იმდენად შეუგუებელი და ავი გამოდგა, რომ წითელარმიელები შიშით ფეხს ვეღარ ადგამენ სამზარეულოში. ყოველ წუთში იწყევლება რაღაც უცნაური სიტყვებით და იმ ზომამდე მიდის, რომ ლონე რომ შესწევდეს გვცემდა. სამზარეულოში მოსამსახურე წითელარმიელებს ხომ გამწარებული აქვთ სიცოცხლე მისი გამოისობით. არ ვიცი, რა მიზნით მოიყვანეს ეს ნერვებ აშლილი ქალი ჩვენთან. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ადმინისტრაციამ და მიუჩინოს მას ისეთი ადგილი, სადაც უფრო ნაკლებად ექნება საქმე წითელარმიელებთან.

კ—ტი.

### რათ გვიწერს თუ არ აასრულებენ?

1-ლ საარტილერიო ლეგიონის ექიმი ციებით ავადმყოფ წითელ არმიელებს გვიწერს ნემსებს, მაგრამ მისი გამკეთებელი არავინ სჩანს. საერთო განკარგულების ძალით ნემსებს უნდა გვიკეთებდენ 12 საათისთვის, მივდივართ მაგრამ არავინ გვხვდება.

ამნაირად ბრძანებაც და ექიმის რეცეპტებიც ფორმალურად სრულდება და სხვა არაფერი.

დროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მოსთხოვონ ექიმის თანაშემწეებს შეასრულონ დავალებები.

მ—ლი.

### არა გვყავს პოლიტხელი.

 აგერ ხუთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც პირველი არტლეგიონის 1-ლ ბატარეიაში არა გვყავს პოლიტხელმძღვანელი. ამ ხნის განმავლობაში არ გვისწავლია თითქმის არაფერი. საჭიროა მოგვაქცევდენ ყურადღებას და დაგვინიშნავდენ ერთ პოლიტხელმძღვანელს. ამდენი ხნის შეჩერება გვეყოფა.

სიმართლე.

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები ბანაკის ცხოვრებიდან

# სამხედრო ქრონიკა

### ავიაქიმიდან წითელ არმიამ მიიღო 140 ჰაეროპლანი

„საჰაერო ფლოტის მოყვარულთა საზოგადოება“ საბჭოთა კავშირში დაარსდა ამ სამი წლის წინად, რომელიც შეუერთდა შემდეგ ქიმიის მოყვარულთა და ავიაქიმის საზოგადოებებს. სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ საზოგადოებამ გადასცა მუშურ გლეხურ წითელ არმიის საჰაერო ფლოტს 140 ჰაეროპლანი, 25 ანგარი და 40 აეროდრომი. ამას გარდა ავიაქიმის ინიციატივითვე იქნა მოწყობილი დიდი საჰაერო გადაფრენები ჩინეთსა და იაპონიაში და ეხლანდელი გადაფრენების ორგანიზატორიც ის არის.

### სამხედრო სწავლება სასწავლებლებში

მეორე საფეხურის სკოლებში შემოღებული იქნა მოწაფეთათვის სავალდებულო სამწყობრო მეცადინეობა და საზაფხულო საველე სწავლება.

ამჟამად სამხედრო სკოლების სამმართველომ, სოციალური აღზრდის მთავარ განყოფილებასთან ერთად, დაგზავნა ცირკულიარები იმის შესახებ, რომ სკოლის დამთავრების და კლასიდან-კლასში გადასვლის მოწმობები, ისე არ მიეცემათ მოწაფეებს, თუ მათ არ გაუვლიათ სკოლაში სამწყობრო მეცადინეობის შესაფერი კურსი და ორკვირეული საზაფხულო საველე მეცადინეობა.

ამიტომ სამხედრო სწავლებისათვის გადადებული საათები მეტანილი იქნენ სამოსწავლო საათების რიცხვში.

საზაფხულო ორკვირეული საველე მეცადინეობის ჩატარების წინ მოწაფეებს წინასწარ შეამოწმებენ ექიმები, რომ სუსტები და ავადმყოფები განთავისუფლებული იქნენ ამ მოვალეობისაგან.

### პასუხი შეკითხვებზე

კოლობნელს საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა იქნეთ მაშინვე დათხოვნილი.

ბერ—ლს. ტანსაცმელი მოგეცემათ.

შ. ქლივაძეს, საღამოს კურსებზე სიარული შეგიძლიათ მხოლოდ უფროსის ნებართვით.

მალარ—ს მუშას. ის ჯამაგირი რაც თქვენ გეძლევათ მე-2 ლეგ., ეხლა არ გეკუთვნით საგეითლო კურსებზე.

ფირცხალავას. პასუხისათვის საჭიროა ვიცოდეთ თქვენ მოხალისე ხართ თუ ნამდვილ სამსახურში ირიცხებით.

კევრიშვილს. მიმართეთ თქვენს სამხკომს, რომ მან მისწეროს გლეხკომს და აღმასკომს, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ თქვენს ოჯახს, რომელნიც ვალდებულნი არიან თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა და სამხსაბჭოს ბრ. № 1520.

ჟანბას. დაგირიგდებათ.

ს. ჟ—რს. პროგრამის შესახებ მიმართეთ თქვენს უფროსს.

მასშე. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, თქვენ საშუალო სწავლა არ დაგითავებიათ, ყოფილხართ მხოლოდ უკანასკნელ კლასში და გამოცდები არ ჩაგიბარებიათ და ისე კი მოწმობას, რასაკვირველია სასწავლებელი არ მოგცემთ.

ს. სა—ძეს. მიმართეთ დივიზიის პარტკომისიას.

ა. ა—ძეს. გეკუთვნით ისე, როგორც წითელ არმიელებს.

ი. ლ—ძეს. ჯერჯერობით არ გაგანთავისუფლებენ.

ა—ძეს. მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა, რის შემდეგ თქვენი საკუთრებაში გადადის.

ალავიძეს. იარაღის ტარებისთვის საჭიროა ნებართვა შინაგან საქმეთა კომისარიატიდან. მეორე საკითხის შესახებ მიმართეთ მე-2 დივ. პარტკომისიას.

ეთერს. თუ თემის ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას წითელ არმიელების ოჯახების მიმართ, მაშინ მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

## პასუხი სამხკორებს

სულთანიშვილს თქვენი ლექსი არ გამოგვადგა. მოიწერეთ ნაწილების ცხოვრებასა და საქმიანობის შესახებ.

გიორგანს თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მოიწერეთ უფრო საქმიანი და ფაქტებით დასაბუთებული წერილი.

ე—ლის (6 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ცხრილის მიხედვით მეცადინეობისთვის დროზე ჩატარების შესახებ გადაეგზავნება ნაწილის თავს და კომისარს.

ჯავანიძეს (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ლეგიონში ცუდი სადილების შესახებ“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში და მიიღებენ საჭირო ზომებსაც.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4 ლეგიონის მე-3-ე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პ-ში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ათის თავებს 1) ვლადიმერ გრიგორის ძე ძუწოვს, 2) სულიკო თასიევს და წითელ არმიელს 3) გრიგორ გასიევს.

პირველ ორს კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის და მესამეს კანდიდატათ მიღების შესახებ.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნული ამხანაგების პარტიაში მიღებაზედ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი პ. გასიევი.

# როგორ მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება იაპონიის მშრომელ ხალხს

ერთ-ერთ იაპონურ ჟურნალში მოთავსებულია წერილი, რომელიც ცხად ყოფს, თუ უკანასკნელ წლის განმავლობაში, როგორ მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება იაპონიის მშრომელ ხალხს.

იაპონიის მშრომელი ხალხის ისედაც უმწეო მდგომარეობა—ცხოვრების პირობები უარესდება კიდევ უფრო ყოველწლიურად.

განსაკუთრებით მძიმე პირობები იყო შექმნილი მათთვის 1925 წლის განმავლობაში. რომ ვინმეს მოენდომებია „შეგროვება ციფრების იმის შესახებ,“ თუ რამდენმა მოიკლა, ჩამოიხრჩო და დაიხრჩო თავი აუტანელი მდგომარეობის გამო, მას დასჭირდებოდა ამისათვის რამოდენიმე თვის განმავლობაში გაეწია დიდი შრომა.

რად შეიქნა ცხოვრების პირობები იაპონიის მშრომელებისათვის ასეთი აუტანელი? ჟურნალი ამაზე შემდეგნაირ პასუხს აძლევს—„იმიტომ რომ ქვეყნის საერთო სამეურნეო მდგომარეობაც უმწეო მდგომარეობაშია. 1925 წელში მრეწველობა არა თუ გაიზარდა, არამედ ძალზე შემცირდა. შემცირდა მუშის სამუშაო ხელფასი, ხოლო უმუშევართა რიცხვი კი უჩვეულოდ გაიზარდა. სოფელი ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ქალაქი“.

ქვევით ჟურნალში ნათქვამია: „ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ იმ პირებს შორის (ე. ი. ბურჟუაზიის), რომლებიც განაგებენ ქვეყანას, არ გამოჩდა ისეთი კაცი, რომელიც შესძლებს ხალხის მდგომარეობის გაგებას და ასეთი უმწეო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანას. მთავრობა სცდილობდა რაღაცის გაკეთებას ამ მხრივ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მთავრობას სურდა შეეცვალა გადასახადების აკრეფის წესი, მაგრამ არსებითად კიდევ უფრო გაიზარდა ეს გადასახადები. მთავრობა საშინლად აღიზიანებს და აბრაზებს მცხოვრებლებს თავისი ზომებით. სამაგიეროდ ის ძალიან ბევრს ზრუნავს პოლიციის გაძლიერების შესახებ „და იმაზე, რომ იაპონიაში არ გავრცელდეს „ბოლშევიზმის იდეები“.

რა იმედებს იძლევა მიმდინარე წელიწადი? ჟურნალი აღნიშნავს, რომ ეს წელიც ვერა სცვლის არსებითად წარსული წლის მდგომარეობას.

სხვა სახელმწიფოებთან, მართალია გაძლიერდა ვაჭრობა, მაგრამ ის მაინც უმნიშვნელოა, ხოლო მისი (იაპონიის) საგარეო ვაჭრობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობის დაბრუნებისათვის.

მართალია მშრომელი ხალხიდან აღებულ გადასახადებმა საგრძნობლად გაადიდა სახელმწიფოს შემოსავალი, მაგრამ უკვე გაიზარდა სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებიც, ეს ხარჯები კიდევ უფრო გადიდდა მიმდინარე წელში, რადგან დიდი თანხები იქნა გადადებული სამხედრო უწყებისათვის არმიის შეიარაღების გასაძლიერებლად.

„ერთად აღებული ყველა ეს ნათლად გვაჩვენებს, რომ—ათავებს ჟურნალი—1926 წელმა საეჭვოა მოუტანოს იაპონიის ხალხს სიმდიდრე ოდნავ მაინც და თავი დააღწიოს ქვეყანამ შექმნილი მდგომარეობიდან“.

ნ. კ.


XXXXX

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


**დავკარგე** ტფილისის გარნიზონის საექიმო კომისიისაგან მიღებული მოწმობა ავადმყოფობისათვის ერთი თვით შვებულებაში გაშვებისა ალექსანდრე თედელაურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.